

მამუკა ვასაძე

---

დაიბადა 1981 წელს.

2003 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2015 წლის 30 ნოემბრიდან მამუკა ვასაძე საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის პოსტს იკავებს.

მამუკა ვასაძემ კარიერა დაიწყო 2005 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლად. 2005-2009 წლებში შრომით საქმიანობას ეწეოდა აჭარის სამმართველოს უფროსი გამომძიებლის პოზიციაზე. 2009 წელს დაწინაურებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 2011 წელს საქმიანობა გააგრძელა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამმართველოს უფროსად, 2012-2013 წლებში თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსად, საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს უფროსად. 2013-2014 წლებში ეკავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, შემდგომ უფროსის თანამდებობა.

2014 წლის 22 იანვრიდან მამუკა ვასაძემ პროფესიული საქმიანობა გააგრძელა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანამდებობაზე.

მამუკა ვასაძეს გავლილი აქვს არაერთი ტრენინგი პროფესიული განვითარების მიზნით, კერძოდ სასამართლო უნარ-ჩვევების, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კუთხით.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.